UK Government

UK in Support of Sustainable Peace
Complementary Initiative to COBERM

UK SSP - პროექტის იდეების კონკურსი

COBERM-ის შემდგომი განვითარება: გაერთიანებული სამეფო მდგრადი მშვიდობის მხარდასაჭერად (UK-SSP) აცხადებს საპროექტო იდეების მიღებას რეგისტრირებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების, ფონდებისა და სამეცნიერო დაწესებულებებისგან. კონკურსში მონაწილეობის შესაძლებლობა ასევე აქვთ საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც აკმაყოფილებენ შესაბამის კრიტერიუმებს[1].

შემოთავაზებული ინიციატივები უნდა შეესაბამებოდეს შემდეგ მიზნებს:

- ადგილობრივ სამშვიდობო პროცესებში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის გაუმჯობესება;
- ინკლუზიური პროცესების ხელშეწყობა ახალგაზრდების, ქალების და სხვა მოწყვლადი ჯგუფების ჩართულობის ასამაღლებლად დიალოგსა და ნდობის აღდგენის ღონისძიებებში;
- კონფლიქტის პრევენციისა და მშვიდობის მშენებლობის ხელშეწყობა.

ზოგადი ინფორმაცია:

UK-SSP მიზნად ისახავს მდგრადი და მშვიდობიანი გარემოს შენარჩუნებასა და გაუმჯობესებას ინკლუზიური და სამოქალაქო საზოგადოების მიერ წარმართული სამშვიდობო ინიციატივების მეშვეობით.

- სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელი ორგანიზაციების მიერ წარმართული ნდობის აღდგენის ინიციატივები კონფლიქტის შედეგად წარმოქმნილი გამყოფი ხაზის გასწვრივ და მის მიღმა მცხოვრებ საზოგადოებებში.
- სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერა და გაძლიერება, რათა ისინი თავად გახდნენ ცვლილების ინიციატორები კონფლიქტის შედეგად წარმოქმნილი გამყოფი ხაზის გასწვრივ და მის მიღმა მცხოვრებ საზოგადოებებში.

UK-SSP მხარს დაუჭერს გამოცდილი, ასევე ახალბედა და ნაკლებად გამოცდილი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილ ინიციატივებს, რომლებსაც სურთ სათავეში ჩაუდგნენ მშვიდობის მშენებლობის ადგილობრივ დონეზე მიმდინარე პროცესებს. აღნიშნულის განხორციელება შესაძლებელია კონფლიქტის ორივე მხარეს არსებული თანამშრომლობის, ექსპერტიზისა და პარტნიორთა ქსელების გამოყენებით; ასევე სხვადასხვა ასაკის, გამოცდილებისა და ეთნიკური წარმომავლობის ახალი მონაწილეების ჩართვით. შემოთავაზებული ინიციატივები გაითვალისწინებენ საზოგადოების საჭიროებებს და ხელს შეუწყობენ ადამიანებს შორის კომუნიკაციასა და კონსტრუქციულ თანამშრომლობას.

[1] იხილეთ შენიშვნა კრიტერიუმების შესახებ, მე-3 გვერდზე

შერჩეული ინიციატივები ხელს შეუწყობენ არსებული პარტნიორობის გაძლიერებას და შენარჩუნებას და ასევე ახალი პარტნიორობის ჩამოყალიბებას ადგილობრივ დონეზე განსაზღვრული ცვალებადი კონტექსტის და საჭიროებების გააზრებით. შემოთავაზებული ინიციატივები უნდა ითვალისწინებდნენ ინკლუზიურობის პრინციპებს, გენდერულ ასპექტებსა და კონფლიქტის მიმართ სენსიტიურ მიდგომას. შემოთავაზებული ინიციატივები ხელს უნდა უწყობდეს ახალგაზრდების გაძლიერებას და შესაძლებლობების შექმნას, რომ პროცესებში ჩაერთონ ისეთი ჯგუფებიც, რომლებამდეც ხმა ყველაზე რთულად აღწევს.

კონკურსის მიზანი:

კონკურსის მიზანია გამოავლინოს ყველაზე ეფექტური ინიციატივები, რომლებიც მიზნად ისახავენ ნდობის მშენებლობას კონფლიქტით დაზარალებულ თემებს შორის ინკლუზიური და ადგილობრივად წარმართული სამშვიდობო პროცესების მეშვეობით.

უპირატესობა მიენიჭება:

საპროექტო იდეებს, რომლებიც მიზნად ისახავენ მშვიდობაზე ორიენტირებულ მდგრად თანამშრომლობას, დადებით გავლენას ახდენენ კონფლიქტით დაზარალებული საზოგადოებების დამოკიდებულებებსა და აღქმებზე და ამით ხელს უწყობენ ნდობისა და პოზიტიური მშვიდობის დამყარებას. UK-SSP მხარს დაუჭერს ნდობის აღდგენის ინიციატივებს კონფლიქტებით გაყოფილ თემებს შორის, ასევე კონფლიქტების პრევენციისა და მშვიდობის მშენებლობის შესახებ ცნობიერების ამაღლებას სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის თემებში. იგი ასევე ხელს შეუწყობს იდეების განხორციელებას, რომლებიც მიმართულია კონფლიქტისა და/ან კრიზისის თავიდან აცილებისკენ.

წარმოდგენილი იდეები უნდა გვთავაზობდნენ ინოვაციურ, სტრატეგიულ, შემოქმედებით და მიზანმიმართულ ქმედებებს, რომლებსაც მკაფიო ხედვა და მდგრადობის მაღალი ხარისხი ექნებათ, მათ შორის:

- მიზანმიმართული ინიციატივები, რომლებიც ხელს უწყობენ კონფლიქტის ტრანსფორმაციას ხელშესახები შედეგებით - ანუ პროფესიულ დიალოგს კონკრეტულ სფეროებში, მათ შორის, და არა მხოლოდ: ჯანდაცვის, გარემოს დაცვის, განათლების, კულტურისა და გენდერული ძალადობის (GBV) მიმართულებებით;
- ინიციატივები, რომლებიც ხელს უწყობენ კონფლიქტით დაზარალებულ საზოგადოებებს შორის გრძელვადიან თანამშრომლობას UNSCR 1325-ს[2] და UNSCR 2250[3]-ს შესაბამისად;
- ძლიერი ანალიტიკური და/ან აკადემიური კვლევის კომპონენტის მქონე ინიციატივები; პროექტის იდეების წარმოდგენა შეუძლიათ როგორც სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელ ორგანიზაციებს, ასევე

[2]გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია (S/RES/2000) ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ

[3]გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია (S/RES/2015) ახალგაზრდობის, მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ

აკადემიური წრეების, ექსპერტთა საზოგადოების და/ან ანალიტიკური ცენტრების წარმომადგენლებს.

- ინიციატივები, რომლებიც ხელს უწყობენ საზოგადოებრივ დისკუსიებს მიმდინარე სამშვიდობო პროცესების შესახებ, ასევე წარსულში კონფლიქტების გამომწვევი და მამოძრავებელი ფაქტორების გადაფასებას, რამაც შეიძლება ჩამოაყალიბოს დადებითი დამოკიდებულებები და აღქმები, შეცვალოს სტერეოტიპები საზოგადოებებში და გააფართოოს მშვიდობის მშენებლობის არეალი;
- ინიციატივები, რომლებიც იკვლევენ მშვიდობის მშენებლობის ახალ მიმართულებებს, როგორიცაა ციფრული და კლიმატის ცვლილებების ან გარემოსდაცვითი მშვიდობის მშენებლობა, რათა შემდგომში ხელი შეუწყონ ხალხთა შორის კონტაქტებსა და ნდობის დამყარებას კონფლიქტით გახლეჩილ საზოგადოებებს შორის.;
- ინიციატივები, რომლებიც აამაღლებენ ადგილობრივად წარმართული სამშვიდობო პროცესების მონაწილეების მედეგობას მუდმივად ცვალებადი გეოპოლიტიკური გარემოს ფონზე.

<u>UK-SSP-ის თემატური პრიორიტეტები</u> განსაკუთრებულ ყურადღებას მიაპყრობს ინიციატივებს, რომლებიც მიზნად ისახავს ქალების, ახალგაზრდებისა და უმცირესობების გაძლიერებას; მოწყვლად ჯგუფებში სიცოცხლის ხარისხის ამაღლებას და გარემოსდაცვითი და კლიმატის ცვლილებებზე ორიენტირებულ და ასევე მშვიდობის მშენებლობისა და ნდობის აღდგენისკენ მიმართულ შიდასაზოგადოებრივ დიალოგების გამართვას.

<u>UK-SSP-თვის წარმოდგენილი საპროექტო იდეები უნდა წარმოაჩენდნენ ნდობის აღდგენის მძლავრ პოტენციალს.</u> UK-SSP განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობს შემოთავაზებულ ინიციატივების ფარგლებში ახალგაზრდებისა და ქალების ჩართულობის ამაღლებას, და მშვიდობისა და უსაფრთხოების პრინციპების გაძლიერებას.

მნიშვნელოვანია: ღონისძიებებისა და მათი დაგეგმარების კუთხით მრავალფეროვნების შენარჩუნების მიზნით ორგანიზაციის მიერ მოთხოვნილი მაქსიმალური დაფინანსება შეიძლება იყოს არაუმეტეს 100 000 აშშ დოლარი. 3 წელზე ნაკლები გამოცდილების მქონე ორგანიზაციებისთვის დაფინანსების ზღვარი დაწესდება სამეთვალყურეო კომიტეტის მიერ თითოეული შემთხვევის ცალკეული შესწავლის შედეგად. მისასალმებელია განმცხადებლის მიერ უზრუნველყოფილი თანადაფინანსება ან არა ფულადი წვლილი.

პროექტის იდეის მაქსიმალური ხანგრძლივობა: 11 თვე.

<u>განაცხადის წარდგენის საბოლოო ვადა:</u>

საპროექტო იდების განაცხადების მიღების საბოლოო ვადაა <u>2023 წლის 23 ნოემბერი, 18:00სთ. ამ ვადის გასვლის შემდეგ განაცხადები არ მიიღება.</u>

პროექტის იდეის წარდგენა:

თუ გაქვთ პროექტის იდეა, რომელიც შეესაბამება UK-SSP-ის მიზნებს, გთხოვთ, შეავსოთ **პროექტის იდეის სტანდარტული ფორმა** (იხ. დანართი 1) და წარმოადგინოთ ელექტრონულად შემდეგ მისამართზე - ukssp@undp.org.

განსაკუთრებით მივესალმებით ქალებს/ორგანიზაციებს, რომლებსაც ქალები ხელმძღვანელობენ;

ერთ ორგანიზაციას უფლება აქვს წარმოადგინოს ერთზე მეტი პროექტის იდეა.

ასევე წახალისებულია პარალელური პროექტების წარდგენა.

პროექტის იდეის შერჩევის კრიტერიუმები:

1) UK-SSP-ის ზემოთ აღწერილ მიზნებთან თანხვედრა;
2) შესაბამისობა კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ადამიანებისა და ადგილობრივი საზოგადოებების საჭიროებებთან და გავლენა მათი ცხოვრების გაუმჯობესებაზე;
3) მიდგომა "არ ავნო" - პროექტის აქტივობების შედეგად ან მისი მგრძობიარე ბუნებიდან გამომდინარე გამოწვეული ნებისმიერი პოტენციური უარყოფითი ზეგავლენის შემცირება;
4) კონფლიქტით დაზარალებულ ჯგუფებსა და საზოგადოებებს შორის ურთიერთობების მხარდაჭერა - გარემოს/კლიმატის ცვლილების, ასევე ქალებისა და ახალგაზრდების, ან/და გენდერულ თანასწორობასა და თანაბარი შესაძლებლობების საკითხების მიმართ ყურადღების განსაკუთრებული გამახვილების გზით. საპროექტო განაცხადი უნდა იყოს თანხვედრაში გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებთან UNSCR 1325 და UNSCR 2250 და უზრუნველყოფდეს ქალების, გოგონებისა და ახალგაზრდების ჩართვას, გაძლიერებას, დაცვასა და მხარდაჭერას მდგრადი მშვიდობის მისაღწევად.
5) პრობლემის მიზანშეწონილობა - განსაზღვრული პრობლემის დასაბუთებული ანალიზი და მის მოგვარებაში წვლილის შეტანის დასაბუთება, გარეშე დაინტერესებული პირების ანალიზი და სხვა;
6) გაზომვადი და რეალისტური გრძელვადიანი შედეგები (ინდიკატორები, რომელთა ობიექტურად გადამოწმება შესაძლებელია);
7) შემოთავაზებული შედეგების თვალსაჩინო მდგრადობა;
8) ეფექტიანი ხარჯვა და რესურსების შესაბამისობა პროექტის მოსალოდნელ შედეგებთან.

შერჩევის პროცესი:

ყველა საპროექტო იდეას განიხილავს გაერთიანებული სამეფოს/გაერო-ს განვითარების პროგრამის შეფასების კომისია და სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას, თუ რომელ განმცხადებელს მოიწვევენ სრულყოფილი საპროექტო წინადადების წარსადგენად; შერჩეული კანდიდატები მიიღებენ შეტყობინებას. ფინალისტებმა შესაძლოა სამეთვალყურეო საბჭოს წევრებთან გაიარონ გასაუბრება.

წინასწარ შერჩევაში მოხვედრილი სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელი ორგანიზაციები მიიღებენ მხარდაჭერას მათი კომპეტენციის გასაძლიერებლად რათა მომზადდეს მაღალი ხარისხის საპროექტო წინადადებები, უცხოელი ექსპერტების მიერ შემოთავაზებული, კონკრეტულად მათზე მორგებული ტრენინგებისა და კონსულტაციების მეშვეობით.

გრანტის მოქმედების მთელი ციკლის განმავლობაში, UK-SSP გრანტის მიმღებ ორგანიზაციებს შესაძლებლობა ექნებათ დაესწრონ ვორქშოფებსა და ცოდნის გაზიარების სავარჯიშოებს, რომლებიც განსაკუთრებით გაამახვილებენ ყურადღებას ციფრული ინსტრუმენტების გამოყენებასა და ასევე დაინტერესებულ მხარეებისთვის პროფესიული კავშირების დამყარების ხელშემწყობი ღონისძიებების ორგანიზებაზე, რაც გააძლიერებს მათ შესაძლებლობებს მონაწილეობა მიიღონ მედეგი საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესში.

ორგანიზაციის მონაწილეობისთვის აუცილებელი კრიტერიუმები:

- იყოს რეგისტრირებული როგორც არა-მომგებიანი, არა-კომერციული ორგანიზაცია და ჰქონდეს საბანკო ანგარიში;
- ჰქონდეს პროექტის განხორციელებისათვის სათანადო ადმინისტრაციული, ფინანსური და ტექნიკური რესურსები;
- სასურველია, წარმოადგინოს დონორებთან ურთიერთობის გამოცდილების კარგი ისტორია.

<u>საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გასათვალისწინებლად:</u>

მიუხედავად იმისა, რომ **გამოკვეთილი უპირატესობა** მიენიჭება ადგილობრივ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელ ორგანიზაციებს, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებს ასევე შეუძლიათ განაცხადის შემოტანა; თუმცა, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ხარჯების ეფექტიანობის ფაქტორს (საერთაშორისო ორგანიზაციები წახალისებულნი არიან მოიძიონ თანადაფინანსება) და საერთაშორისო სტატუსით განპირობებულ დამატებით ღირებულებას. საერთაშორისო ორგანიზაციებს შეუძლიათ შემოიტანონ განაცხადი ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით. არასამთავრობო ორგანიზაციების კონსორციუმებს, ახლად შექმნილ ორგანიზაციებს ან ორგანიზაციებს, რომლებსაც არ აქვთ საერთაშორისო დონორებთან

ურთიერთობის გამოცდილება ასევე შეუძლიათ განაცხადის წარდგენა, თუ აკმაყოფილებენ ზემოთ აღნიშნულ სხვა კრიტერიუმებს.

დათქმა: UK-SSP სამი სამუშაო დღის ვადაში დაადასტურებს განაცხადის მიღებას, წინააღმდეგ შემთხვევაში, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ მისამართზე- ukssp@undp.org გაეროს განვითარების პროგრამა პასუხის არ აგებს ნებისმიერ ტექნიკურ პრობლემაზე, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს განაცხადის (განაცხადების) დაგვიანებით მიღება ან დაკარგვა.